ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ამირან ციცაძეს

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების
სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. [illegible], ქედა, [illegible] ქუჩა, 599273562
2. [illegible], ქედა, სოფ. [illegible], 577414607
3. [illegible], ქედა, სოფ. [illegible] 599234129

პ ე ტ ი ც ი ა

პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის სისტემის ამოქმედება

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ითვალისწინებს პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას. ელექტრონული ფორმით პეტიციების წარდგენის წესი კი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 86-ე მუხლის 24-ე პუნქტის თანახმად, დადგენილებით უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი და პროცედურები უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში (პეტიციების ნაწილში), რაც ბუნებრივია საჭიროებს რეგლამენტში ცვლილებების და დამატებების შეტანას.

აღნიშნული სისტემის ამოქმედებისათვის აუცილებელ წინაპირობას ასევე წარმოადგენს ელექტრონული ფორმით პეტიციის წარდგენისათვის შესაბამისი ელექტრონული აპლიკაციის არსებობა, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. (მაგალითისათვის შეიძლება იხილოთ: წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ქ. გორის მუნიციპალიტეტების ვებ.გვერდები).

პეტიცია წარმოდგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისად პეტიცია თან ერთვის მოსამზადებელი ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ქედის მუნიციპალიტეტის რეგლამენტში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის ძირითადი პრინციპები და წინადადებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის საკითხის განხილვის და გადაწყვეტის მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობ-რივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და უზრუნველყოთ პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესის და პროცედურების საკრებულოს რეგლამენეტში ასახვა და შესაბამისი ელექტრონული აპლიკაციის შექმნის მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელების საკითხების გადაწყვეტა.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.
3. მოსაზადებელი ნორმატიული აქტის ძირითადი პრინციპები და წინადადებები

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

პეტიციის წარდგენის თარიღი: 21 აგვისტო 2017 წელი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებული
შემოსულია № 162/04
„21" აგვისტო 2017 წ.
ეურნალი 1 ქარცადი 12 დანართი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში, ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (დადგენილების) პროექტის ძირითადი პრინციპები და კონკრეტული წინადადებები

1. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი და პროცედურები, რეგლამენტში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილებით, უნდა აისახოს საკრებულოს რეგლამენტში (პეტიციების ნაწილში) ცალკე შესაბამისი მუხლის - „პეტიციის წარდგენა ელექტრონული ფორმით" (ან სხვა მსგავსი ფორმულირებით) დამატებით. (მაგალითისათვის იხილეთ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 94[1] მუხლი)
2. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენა (სხვა მუნიციპალიტეტებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით) შესაძლებელი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდის მეშვეობით.
3. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი, პეტიციებისათვის ზოგადად დადგენილი პროცედურების და პირობების მიხედვით უნდა ითვალისწინებდეს პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის კონკრეტულ ეტაპებს (ინიციატორების რეგისტრაცია, პეტიციის ინიცირება, მხარდამჭერთა ელექტრონული, თანდართული დანართების ატვირთვა და ა.შ.) და თიოთოეულ ეტაპზე შესაბამის კონკრეტულ პროცედურებს, კრიტერიუმებს და პირობებს.
4. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი უნდა ითვალისწინებდეს ელექტრონული ფორმით წარდგენილი პეტიციის თითოეულ ეტაპზე გადასვლის და შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინიციატორთა ელექტრონული ფორმით დაუყონებლივი ინფორმირების პროცედურებს.
5. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესმა უნდა დაადგინოს პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენის პროცედურებზე ზედამხედველი და პასუხისმგებელი კონკრეტული მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული და/ან პირი.
6. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესმა მკაცრად უნდა განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტები.